საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ბრძანება N 2-452

ქ. თბილისი

28/05/2019

სს „ნამახვანზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ენკა რინიუებლზზე“ გადაცემის შესახებ

2019 წლის 15 მაისს ერთობლივი განცხადებით მოგვმართეს სს „ნამახვანისა“ და შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას“ დირექტორებმა. სს „ნამახვანმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიაზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება. მიმდინარე წლის 22 მაისს წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიამ“ შეიცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა „ენკა რინიუებლზის“ სახელით, რაც დასტურდება მეწარმეთა რეესტრიდან ამონაწერით.

სამინისტროს მიერ სს „ნამახვანის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) გზის ნამოხვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე 2017 წლის 20 აპრილს გაცემული №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად გაიცა №2-397 (10.05.2019) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „ნამახვანის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (ჭომა)-ალპანა-მამისონის უღელტეხილი (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) გზის ნამოხვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობაზე, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ენკა რინიუებლზს“;

2. შპს „ენკა რინიუებლზმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის №2-397 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „ნამახვანსა“ და შპს „ენკა რინიუებლზს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ნამახვანისა“ და შპს „ენკა რინიუებლზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი